- დედა პედიატრია. რკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოში მუშაობდა და მასთან სამსახურში სტუმრობა ძალიან მახარებდა. თეთრი ხალათისა და ფონენდოსკოპის ხათრით სისხლის ანალიზსაც კი უშიშრად ვიღებდი. დავდიოდი ქართულ ცეკვაზე გოგონათა ანსამბლში და ყინულის დარბაზში ფიგურულ სრიალზე, სადაც ქორეოგრაფი დიდ საბალეტო კარიერას მინინასწარმეტყველებდა. თუმცა...

სკოლის დამთავრებისას მხატვრობამ დამაინტერესა და სამხატვრო აკადემიაში გადავწყვიტე ჩაბარება. ვემზადებოდი. იმ დროს მოდამი მოდელირება შემოვიდა, მე კი უფრო რესტავრაცია, არქიტექტურა მაინტერესებდა. გამოცდების წინ გადაწყვეტილება შევცვალე, ბავშვობის ოცნებას დავუბრუნდი და მისაღები გამოცდები სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე.

ფილმში მონაწილეობაც პირველად იმ ზაფხულს შესთავაზეს...

- ცეკვის სტუდიაში ხშირად მოდიოდნენ რეჟისორები. მასსოვს რეზო ესაძე, ლევან თუთბერიძე და სხვები. მიპატიჟების მიუხედავად სინჯებ-



As a child, she dreamed of becoming a doctor. On graduating from school, she developed a keen interest in painting and architecture.

- My mother is a pediatrician. She worked at a children's hospital. I was a frequent visitor there and willingly had blood tests in exchange for a doctor's smock or stethoscope. I used to take Georgian dancing as well as skating classes and my choreographer was sure that I was destined for a glittering ballet career, but...

When I graduated from school I acquired a knack for painting and began to make arrangements for enrolment at the Academy of Arts... the modeling faculty was then at the peak of popularity, but I was more interested in architecture, restoration techniques... however, immediately prior to the entrance exams, I decided to remain loyal to my childhood dream and... signed up at the Medical Institute.

The same summer she was offered a role in a film...

- Film directors: Rezo Esadze, Levan Tutberidze and many others often came to the dance studio to audition potential actresses. I used to decline all of their offers as they were of no interest to me at all. My interest in shooting began, however, to rise



when Nana Janelidze offered me a role in Iavna. Because of the entrance exams, I arrived late in Saguramo. The Ilija Chavchavadze House Museum served as a filming location. Thrust into the midst of shooting activities I immediately regretted having missed so many other opportunities.





I subsequently appeared in nearly all films by Nana Janelidze, namely, "Dreams of the Dry Bridge" (2003) "Christmas Gift" (2005), "Will there be a theatre up there?" (2011). I accepted all roles without even reading the scripts first.

In real life, however, she was never to fill the role of a doctor. A graduate of the Medical Institute, she thinks she is a journalist by profession, not a doctor.

My childhood dream of becoming a doctor remained a dream. Immediately after graduation from the Institute, Manana Shevardnadze and Nana Janelidze recommended me for a job as a journalist with TV Channel I. I could already draw on my experience as a host of "Black Box" - a programme that used to

ზე არასდროს წავსულვარ. არ მაინტერესებდა. როცა ნანა ჯანელიძემ მიმიწვია ფილმში „იანანა“, დავინტერესდი, მაგრამ მისაღები გამოცდების გამო საგურამოში გვიან ჩავედი. „იანანას“ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში იღებდნენ. როდესაც გადაღების პროცესი ვნახე და თავადაც გავხდი მისი მონაწილე, გული დამწყდა და ვინანე, ადრე ამაზე უარს რომ ვამბობდი.

შემდეგ ქალბატონი ნანას თითქმის ყველა ფილმში მივიღე მონაწილეობა – სცენარსაც არ ვკითხულობდი, ისე ვთანხმდებოდი. ეს ფილმებია – „მშრალი ხიდის სიზმრები“ (2003 წ.), „სამობაო საჩუქარი“ (2005 წ.) და „ნეტავი იქ თეატრი არის?!“ (2011 წ.).

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თეთრი ხალათი არ ჩაუცვამს და დღეს ფიქრობს, რომ პროფესიით ჟურნალისტი და არა ექიმი.

– ექიმობა ოცნებად, ბავშვობის გატაცებად დამრჩა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ქალბატონების – მანანა შევარდნაძისა და ნანა ჯანელიძის რეკომენდაციით ტელევიზიაში, I არხზე დავინყე მუშაობა. რაღაც გამოცდილება მქონდა. სტუდენტობისას თვეში ერთხელ II არხზე გადაცემა „შავი ყუთი“ მიმყავ-



be aired by Channel II once a month. Though already accustomed to facing TV cameras, I was having a really tough time working as Moambe's news anchor. Perhaps I was too young to take an interest in political affairs. Besides, the country was going through a rough patch then. To further complicate matters, I once had a drop-out (*lost connection*) with an interviewee. It was a technical mishap, which had an explosive effect on my nerves. I decided to leave. But I was soon faced with a new job in a morning programme called "Alioni".

In Alioni I joined a team of Nino Shubladze, Maia Asatiani, Nino Meunargia, Zaliko Udumashvili, Giorgi Akhvlediani, Aliko Elisashvili and





Aleko Parulava... The skills and experience I acquired there during six months got me back to Moambe...

After some time she still had to quit the channel.

- I had a newborn, Mariam. She had trouble sleeping and I was not getting a wink of sleep either and, therefore, there was no way for me to unwind and relieve the tension of work. I was receiving multiple job offers then but my daughter needed me more. Now Mariam is a big girl, she is seven and she's got her own job - she goes to school.



და და ტელეკამერასთან მუშაობას მიჩვეული ვიყავი. თუმცა, თავიდან მთავარი საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ წაყვანა ძალიან გამიჭირდა. მით უმეტეს, დროც რთული იყო და ასაკიც ისეთი მქონდა, რომ პოლიტიკა, ის თემები რომელთაც „მოამბე“ აშუქებდა, არ მაინტერესებდა. ერთ-ერთი გადაცემისას ტექნიკური ხარვეზის გამო რესპოდენტის ხმა „დაეკარგე“, არაფერი მესმოდა - საშინლად ვინერვიულე და „დილოგი“ როგორღაც ჩავამთავრე. თუმცა, გადაცემის დამთავრების შემდეგ ტელევიზიიდან წასვლა გადავწყვიტე. არ გამიშვეს და დილის პროგრამა „ალიონში“ გადამიყვანეს.

„ალიონში“ ნინო შუბლაძე, მაია ასათიანი, ნინო მეუნარგია, ზალიკო უდუმამვილი, გიორგი ახვლედიანი, ალექო ელისაშვილი და ალექო ფარულავა დამხვდნენ. იმ ექვს თვეში, რომელიც დილის გადაცემაში გავატარე, ბევრი რამ ვისწავლე, გამოცდილება მივიღე და უკან, „მოამბეში“ თამამად დავბრუნდი.



In 2011 I realized that it was time to return to familiar territory and accepted an offer from my friends: Goga Chartolani, Rezo Chichinadze, Nino Zautashvili, Salome Dadunashvili and Nana Pachuashvili. Again I ended up on screen as a presenter of „Paradise Apples“ - a show run by the Public Broadcaster. The show's airtime, format and content struck me as very interesting and inspiring; besides it didn't require me to alter the pace of life





მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ტელევიზია მაინც დატოვა...

– ნამოვედი. მარიამი შემეძინა. უძილო ბავშვი იყო და მასთან ერთად ვათენ-ვალამებდი. ფაქტობრივად, იმავე რეჟიმით ვცხოვრობდი, რაც ტელევიზიაში მქონდა. სხვადასხვა არხები მეპატიჟებოდნენ, სამსახურს მთავაზობდნენ, მაგრამ იმ ეტაპზე ბავშვს უფრო ვჭირდებოდი. დღეს მარიამი უკვე დიდი გოგოა, შვიდი წლისაა და თავის „სამსახურში“ – სკოლაში დადის.

2011 წელს მიხვდი, რომ საქმეს უნდა დავბრუნებოდი და ჩემი მეგობრების – გოგა ჩართოლანის, რეზო ჭიჭინაძის, ნინო ზაუტაშვილის, სალომე დადუნაშვილისა და ქალბატონი ნანა ფაჩუაშვილის შემოთავაზებას დავთანხმდი. საზოგადოებრივ მაუწყებელში – „სამოთხის ვაშლებში“ მივედი. ამ გადაცემის ეთერში გასვლის დრო, ფორმატი და შინაარსი იყო ის, რაც მაინტერესებდა და ჩემს რიტმს არ არღვევდა. დღეს „სამოთხის ვაშლების“ ფორმატი ოდნავ შეიცვალა, გადაცემის დრო გაიზარდა და უფრო საინტერესო გახდა. წამყვანებს, საკუთარი აზრის, პოზიციის გამოთქმის საშუალება, მეტი თავისუფლება მოგვეცა.

და მაინც, ვინ არის ნინო კურატაშვილი – ექიმი, მსახიობი თუ ჟურნალისტი...

– ექიმი ნამდვილად აღარ ვარ, არც მსახიობი – ვერ გავკადნიერდები. ჟურნალისტი ვარ, თუმცა ამ სფეროში განვლილი წლები, გამოცდილება ჩემმა ერთმა „მსახიობურმა წარმატებამ“ წყალში ჩამიყარა. „გადმორეკეს“ შემდეგ ქუჩაში ყველა მცნობდა, „პოპულარული“ გავხდი. ეს ხუმრობით, მაგრამ რეკლამას მართლაც უდიდესი ძალა აქვს, თუმცა გააჩნია ვინ არის რეჟისორი, ოპერატორი; ვისია, რისია... როცა ვიცი, რომ ფილმს ან რგოლს ნანა ჯანელიძე, გიორგი ებრაელიძე, გიორგი ბერიძე, „ნეოსტუდია“ იღებს, თანამშრომლობაზე ყოველთვის სიამოვნებით ვთანხმდები.

to which I had already accustomed myself. Now the show gets more airtime and gives the presenters much more freedom, leaving for them greater room for personal opinion.

And still, has Nino Kuratashvili got the makings of a doctor, an actress or a journalist?



– I cannot qualify as a doctor, nor can I claim to be an actress. A journalist I am, but all my efforts in this field have gone down the drain thanks to one “starring role”. I mean the “Call me back” promo, which catapulted me to fame. Immediately after the release of this promo I became popular, an instantly recognizable face... well, it’s a joke. Television promos wield formidable power indeed, but a great deal also depends on the directors and operators; who stands behind them and what they promote... I always feel very privileged to appear in films and promos directed by Nana Janelidze, Giorgi Ebralidze, Giorgi Beridze, and Neostudio.





# 2014 წლის სატელეკომუნიკაციო მოდელი

კომუნიკატორები მოხრილი დისპლეით მსოფლიო მოდის უკანასკნელი სიტყვაა. როგორც ჩანს, 2014 წელს მობილური და ტელეპარატურის მწარმოებელი მსოფლიოს წამყვანი კომპანიები ასეთი ფორმის პროდუქციას უფრო დახვეწენ და განავითარებენ. პირველი, ვინც მოხრილკრანინანი სმარტფონი გამოუშვა, კომპანია Samsung-ია, მას კი ფეხდაფეხ LG მიჰყვა.

როგორც სააგენტო Bloomberg-ი იუწყება, 2014 წლის მეორე ნახევრისთვის Apple-მაც ორი დიდი მოხრილკრანინანი ახალი iPhone მოდელის წარმოება გადაწყვიტა.




## /// Samsung

სამხრეთკორეული მწარმოებლის სმარტფონის, Galaxy Round-ის, ღერძი ვერტიკალურადაა მოხრილი და მრავალი არაოფიციალური წყაროს ინფორმაციით, მართლაც კარგი ერგონომიკით გამოირჩევა – ახალი კომუნიკატორი ხელში მოხერხებულად გიჭირავთ. თუმცა, მხოლოდ ერთი მოდელითა და კარგი ერგონომიკით კონკურენტებს ბრძოლას ვერ მოუგებ. ამიტომ წელს კომპანია რამდენიმე ახალი მოხრილკრანინანი მოდელის გამოშვებას გეგმავს და გამოირიცხული არ არის, სამსუნგის ფლაგმანი Galaxy S5-იც „მოხარონ“.

## /// LG

Galaxy Round-ისგან განსხვავებით სმარტფონ LG G Flex-ის ღერძი ჰორიზონტალურადაა მოხრილი. ის სტილიზებულ ასო C-ს ჰგავს და საუბრისას ყურთან მოხერხებულად გიჭირავთ. LG G Flex მოდელში რამდენიმე სიახლეა გამოყენებული, რომელიც მის ერგონომიკას აუმჯობესებს. მაგალითად, ტელეფონის ჩართვისა და ხმის ასანეწ-დასანეწი (სარეგულირებელი) ლილაკები უკანა პანელზეა განთავსებული. თუმცა, ამ ტელეფონს მინუსიც აქვს – მისი ეკრანის (დისპლეის) მკაფიოობა მხოლოდ 1280X720 პიქსელია. იმედია, LG ამ ხარვეზს მალე გამოასწორებს და მომხმარებელს მაღალი გარჩევადობის მოხრილკრანინანი მოდელს უახლოეს მომავალში შესთავაზებს.





## /// Nokia

მას შემდეგ რაც ფინურმა კომპანიამ თავისი აქტივების გარკვეული ნაწილი Microsoft-ს მიჰყიდა, გამოცოცხლდა და ახლახან Nokia World-ზე რამდენიმე სიახლე – პლანშეტები, პლანშეტოფონები და, უბრალოდ, სმარტფონები – წარადგინა. გამორიცხული არ არის, რომ 2014 წელს Nokia-მ მომხმარებელს მოხრილეკრანიანი სმარტფონებიც შესთავაზოს. ამ მოდელების განმასხვავებელი ნიშანი კი საოპერაციო სისტემა იქნება, Nokia-ს არსებული სმარტფონები ხომ Windows Phone-ის იყენებენ. ახალი მოდელი კი მსოფლიოში პირველი მოხრილეკრანიანი WP-სმარტფონი იქნება, რაც მომხმარებელში გარკვეულ ინტერესს გამოიწვევს.



## /// Lenovo

უკანასკნელ წლებში Lenovo ელექტრონიკის მწარმოებელი რიგითი ჩინური კომპანიიდან ამ ინდუსტრიის ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერად იქცა. ის აქტიურად ვითარდება და დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბაზარზე მაგიდისა და პორტატული პერსონალური კომპიუტერების წარმოებასა და გაყიდვებში პირველობას არავის უთმობს. გასულ წელს ეს კომპანია სმარტფონებითაც დაინტერესდა და მომხმარებელს კონსერვატიული ფორმა-ფაქტორის, თუმცა ძალიან საინტერესო ტექნიკური მახასიათებლების მქონე, K900 შესთავაზა. თუ 2014 წელს Lenovo მოხრილეკრანიანი სმარტფონების წარმოებას დაიწყებს (რისი ყველა რესურსიც აქვს), ეს სხვა კომპანიებისთვის საინტერესო გამოწვევა იქნება – ტრადიციულად ჩინური კომპანიის ნაწარმი სახელმძღვანელო კონსურენტების პროდუქციაზე გაცილებით იაფია.





### /// Samsung-ის ახალი მოხრილკრანისანი ტელევიზორები

ლას ვეგასში გამოფენაზე CES 2014 კომპანია Samsung-მა პირველად წარადგინა კომერციულად ხელმისაწვდომი ახალი მოხრილკრანისანი UHD-ტელევიზორები. როგორც ჩანს, 2014 წელს, კომპანია ძირითადად მოხრილკრანისანი UHD-TV U9000 სერიის 55" (139,7 სმ), 65" (165,1 სმ) და 78" (198,12 სმ) ღვიშიანი დიაგონალის ეკრანის მქონე მოდელებს აწარმოებს.

გამოფენაზე დიდი ინტერესი გამოიწვია მოდელმა სახელად Bendable TV 85-ღვიშიანი (215,9 სმ.) ეკრანით. ამ ახალი ტელევიზორის მფლობელს სამართავი პულტის ერთ-ერთ ღილაკზე დაჭერით შეეძლება მოხაროს ან გაასწოროს ეკრანი, ანუ იგი თავად წყვეტს, რა ფორმის ეკრანზე უყუროს ამა თუ იმ ფილმს ან ტელეგადაცემას. ლას ვეგასში ეს მოდელი მხოლოდ კონცეპტის სახით იყო წარმოდგენილი, თუმცა სპეციალისტთა და დამთვალიერებელთა ისეთი დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ Samsung-მა მისი ბაზარზე გაშვება 2014 წლის მეორე ნახევრიდან გადაწყვიტა.

გარდა ამ მოდელებისა Samsung-მა დამთვალიერებლებს მსოფლიოში უდიდესი, ორადგილიანი სანაოლის ზომის, მოხრილკრანისანი U9000 სერიის UHD ტელევიზორის მოდელიც აჩვენა. ამ დიაგონალზე 105 ღვიშიანი (266,7სმ) გიგანტური ეკრანის გარჩევადობა 5120X2160 პიქსელია და ჩვეულებრივ, ბრტყელკრანისანი ტელევიზორებთან შედარებით ორჯერ უფრო მაღალი კონტრასტულობა აქვს.

ტექნიკურ მახასიათებლებთან ერთად საინტერესოა Samsung-ის ტელევიზორების მართვასაც შეეხოს. თუ ადრე Samsung-ის Smart ტელევიზორები ხელის მოძრაობას აღიქვამდნენ, ახლა გარკვეულ ოპერაციებს ცალი თითითაც შეასრულებთ – მისი მოძრაობით შეგეძლება შეცვალოთ არხი ან ხმა, გადაახვიოთ გამოსახულება და ა.შ.

ახალ მოდელებში გაუმჯობესდა ხმოვანი მართვის ფუნქციაც. 2014 წელს, არსებულ 11 ენას, რომელზეც მომხმარებელს ხმოვანი ბრძანების გაცემა შეეძლო, 12 დაემატება. კომპანიის თანამშრომლებმა შეისწავლეს და გააანალიზეს ტელემაყურებელთა ყველაზე პოპულარული მოთხოვნები და მაქსიმალურად გაამარტივეს ისინი. მაგალითად, ახლა სასურველ არხზე გადასასვლელად მისი ნუმერაციის წარმოთქმა იქნება საკმარისი. შესაბამისი ხმოვანი ბრძანების გაცემისას კი ეკრანზე ამოსულ პატარა ფანჯარაში (რომლის გადიდებაც შეიძლება) ამინდის პროგნოზი, ვალუტის კურსი ან სპორტული შეჯიბრებების შედეგები დაფიქსირდება.



იაპონური კომპანია Sharp ყოველთვის გამოირჩეოდა წარმოებული თხევადკრისტალური ტელევიზორების ხარისხით. ტრადიციას მან არც ამჯერად უღალატა და 2014 წლის იანვარში მომხმარებელს მსოფლიოში პირველი რეკორდული გარჩევადობის (8K) ტელევიზორი წარუდგინა. ამ საინტერესო (215,9 სმ) ზემალაღი გარჩევადობის (7680X4320 პიქსელი) ეკრანის გარდა, სტერეოსკოპული გამოსახულების მხარდაჭერაც აქვს. ახალ Sharp-ში 3D-გამოსახულების აღქმას სპეციალური სათვალე აღარ სჭირდება. ახალი პროდუქტი მხოლოდ კონცეპტია და მისი სხვა მახასიათებლები ჯერჯერობით არ ხმაურდება. თუმცა, მის შექმნაში Philips-ის და Dolby-ს მონაწილეობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამ ჯერ „მოუნათლავე“ მოდელში გამოსახულებისა და ხმის ფორმირების ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები გამოყენებული.





# „მორკითხა“

ვაბთი ფიქსიდან ვაბთი ფიქსზე  
ბთანი თვა ისაუბრა  
უფასოე და უნიკითოე!

ტარიფით 30-დღიანი სარგებლობა - 3 ლარი

5503 OK

ვაბთი ფიქსი  
MAGTIFIX



კავშირი ყველასთვის



11 00 11 - ნაბინათი ქალისა

[www.magtifiX.ge](http://www.magtifiX.ge)



„ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ჴელთა აღიხუნა და ვითნი და მკირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა იგი დღე და ღამე ზესკნელითა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით“.

ასე აღწერს მეხუთე საუკუნეში იაკობ ცურცაველი ამ დამოუკიდებელი დედოფლის ბრძოლის დასაბამს. ჭიჭნაუხტი ძველქართულად აბრეშუმს ნიშნავს, რაც იმის დასტურია, რომ იმუამად ქართლში იყოფნენ, რა იყო აბრეშუმი. გადმოცემის თანახმად, აბრეშუმის ჭია ქართლში ვახტანგ გორგასალს შემოუტანია ინდოეთიდან, სადაც სპარსეთის მეფე პეროზს ახლდა ლაშქრობაში.

“And St. Shushanik abandoned the craft of Chichnaukht weaving and immersed herself thoroughly in the Book of Psalms imbibing prophetic hymns about the Second Coming and spending days and nights teary-eyed offering up devotional prayers to the Lord” – this is how Iakob Tsurtaveli describes the defiant queen’s first steps along the thorny path to martyrdom. Chichnaukht is an ancient Georgian word for silk, providing proof that silk was fairly widespread in 5<sup>th</sup> century Kartli. According to the legend, King Vakhtang Gorgasali is the earliest reputed silk pioneer in Georgia. He imported silk from India, where he accompanied Persian King Peroz during his military campaigns...

# ჭიჭნაუხტის საქმა







### ნარსულში...

თბილისში ქარავნები შემოდისდნენ...

სამყაროთა გზაგასაყარზე მყოფი ეს ქალაქი ვის ხელში არ ყოფილა, მაგრამ უცვლელი იყო ერთი: ვინც უნდა ყოფილიყო ამ პატარა სამეფოს მპყრობელი – მაზდეანი, ქრისტიანი თუ მაჰმადიანი, თბილისში ქარავნები შემოდისდნენ... და იშლებოდა ქარვასლების დახლებზე აღმოსავლური მსუბუქი და ბზინვარე, ფარშავანგის კუდივით მოჩითული ქსოვილები, ქალალაიები, თავსაბურავები, და ვინ უწყის, კიდევ რამდენი რამ, რომლებიც მალე ქალაქელი ლამაზმანების ბანიან სახურავებზე იფინებოდა... და დასავლეთიდან ვენეციური რამერუმე. მაგრამ ვენეცია ხომ „აქვე“ იყო, ყურის ძირში, და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ნაკეთობები ქართლის სამეფოს მკვიდრთათვის არ იყო უცხო ხილი. სულაც, ჩახვიდოდი ფაზისში და იქიდან გემით ორ დღეში აღწევდი ჩექმის დარ ნახევარკუნძულს. და რა უნდა გაკვირებოდათ ვენეციისა? აი, აღმოსავლეთის ამ შრამუნა და ბეჭდის რგოლში გასრიალებულ უნონო საოცრებას – აბრეშუმს კი სულმოუთქმელად ელოდნენ, და არა მარტო საქართველოში.

### რა შიქლვა აღმოვაჩინეთ ჩის ფინჯანში

ყოველივე ეს ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე ათასწლეულში დაიწყო, როდესაც ჩინეთის იმპერატორის მეუღლემ თუთის ხის ჩრდილში ჩის სმის დროს ფინჯანში შემთხვევით ჩავარდნილი აბრეშუმის თეთრი პარკი შენიშნა, რომელიც, მდულარე წყლით დამბა-

### IN THE PAST

Caravans kept flowing to Tbilisi...

Situated at the crossroads of different worlds, Tbilisi went from one owner to another. However, whether its rulers were Mazdeans, Christians or Muslims, caravans seemed to be an unalterable fact of life: they never ceased their flow to Tbilisi...

Caravans were eagerly awaited in caravanserais whose stalls would be immediately piled high with rolls of seductively glittering fabrics of oriental design, an impressive range of shawls, scarves and kerchiefs in vivid colours of peacock plumage, and an opulent kaleidoscope of Venetian things... Venetia was in close vicinity, quite within a stone's throw. Thus, Mediterranean goods were nothing out of the ordinary in the Kartli Kingdom – it was after all a matter of only two days to reach the shores of the boot-shaped Italian Peninsula from Phasis. The silk, by contrast, was nothing short of a miracle! This weightless and rustling wonder capable of sliding through the tiny hole of a ring was the cherished dream of everyone – and not only in Georgia.

### INSIDE A TEACUP

Legend gives credit for developing silk in the fifth millennium BC to a Chinese empress who is supposed to have accidentally dropped a silk cocoon into a hot cup of tea during her leisure hours under a mulberry tree, discovering that the pupa unfurled into a shiny thread several hundred yards long.

The earliest archaeological evidence of silk was unearthed in



ლი, დაშლილიყო და ათიათასობით ბზინვარე ძაფისგან შედგებოდა.

ეს მხოლოდ ლამაზი ლეგენდა როდია. არქეოლოგიურად აბრეშუმის წარმოება ჩინეთის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთის პროვინცია შანსიში მტკიცდება. იქ აღმოჩენილია მსოფლიოში ყველაზე ძველი პარკი, რომელიც ძვ.წ. 2200-1700 წლებით თარიღდება. ხოლო აბრეშუმის ქსოვილის პირველი ფრაგმენტები სამხრეთ ჩინეთის სამაროვნებშია ნაპოვნი. ეს ეპოქა „მეომარ სამეფოთა“ სახელითაა ცნობილი და ძვ.წ. 475-221 წლებს მოიცავს.

**თმის ვარცხნილობის საიდუმლო და გაგზავნის ხელჯონი**

აბრეშუმის წარმოება მრავალი საუკუნის მანძილზე ჩინეთის გარდა არსად ხდებოდა. ტექნოლოგია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა და გამცემს სიკვდილი ემუქრებოდა. ცნობილი ლეგენდის მიხედვით, ხოტანის მე-



North China's Shanxi Province. The first cocoon ever found dates back to 2200 to 1700 BC. Ancient burial grounds in South China brought to the light the earliest samples of silk fabric ascribed to the Warring States Period (475 - 221 BC).



**SECRET OF HEADDRESS AND BAMBOO WALKING STICKS**

For many centuries silk production remained a state secret confined to the boundaries of the Chinese Empire. The punishment for any attempt to smuggle out this secret was death. The king of Khotan went an extra mile to make silk know-how his own, but all in vain. In the end he decided to play a trick on the Chinese emperor and asked him for his daughter's hand in marriage. The emperor acceded to his wish. The king of Khotan then sent an envoy to the princess to tell her that Khotan had a hoard of precious jewels but the choice of fabrics there was increasingly scarce...

How could the princess deny herself the luxury of silk robes? Secretly she hid mulberry seeds and silkworm eggs in her royal headdress as well as among herbs in a medicine chest. She went even further and made silkworm breeders, weavers and mulberry tree growers intermingle with her eunuch servants. Thus she crossed the Chinese border.

It is believed that in 552 AD two monks brought back the secret of silk to Emperor Justinian of the Byzantine Empire by concealing silkworm eggs in their bamboo walking sticks.

It was a real silk leak ...

ფემ ვერაფრით მოიპოვა ამ ჯადოსნური ქსოვილის ნედლეული და წარმოების სერხი. ვეზირის რჩევით მან ჩინეთის იმპერატორს ქალიშვილის ხელი სთხოვა. პრინცესა სიამოვნებით დათანხმდა ხოტანის დედოფლობას, თუმცა მეფის დესპანმა წასჩურჩულა – ნეფრიტის ქვები და ლამაზი სამკაულები კი გვაქვს, მაგრამ, აი, ნაირფერ შესამოსელზე უკაცრავად, ქსოვილების არჩევანი მწირიაო... აბა, რომელი ქალი იტყოდა უარს ლამაზ სამოსზე? ამიტომ, იმპერატორის ასულმა აბრეშუმის ჭურები მაღალ ვარცხნილობაში, ხოლო თუთის ხის ნერგები ნაირგვარ ნალმებსა და ბალახეულში ჩამალა. ესეც არ იკმარა და მსახური საჭურისების ამაღლაში მქსოველები, თუთის ხეების მომშენებლები და აბრეშუმის ქიის მომწვლელებიც „შეაპარა“ და... ჩინეთის საზღვარი გადალახა.

ქრისტესობიდან 550 წელს, ბიზანტიელმა იმპერატორმა იუსტინიანე პირველმა ორი სპარსელი ბერი დაითანხმა და





ჩინეთიდან თუთის აბრეშუმხვევია ბამბუკის ფუტურო ხელჯოხებში დამალული ჩამოატანინა.

ასე აეხადა ფარდა აბრეშუმის საიდუმლოს.

### „აბრეშუმის გზა“

იმპერატორ უდის ცნობა მოუვიდა ვეზირისგან, რომელიც ფერგანის სტეპებში მტერს დევნიდა: ჰოი, რა საოცარი რამები ვიხილე, გრძელფეხება და ქარივით სწრაფი, ვერ შეედრებათ მათ ჩვენი დაბალი და ფეხმოკლე ცხენებიო. ჰოდა, გადაწყდა. გაიტანს ჩინეთი აბრეშუმს, მის სანაცვლოდ კი არაბულ ბედლაურებს, ღვინოს და ნაირგვარ თევლებს შეისყიდის. ასე ჩაეყარა საფუძველი დიდ აბრეშუმის გზას ძვ.წ. 121 წელს, როდესაც ბრინჯაოს სარკეებითა და აბრეშუმით დატვირთული პირველი ქარავანი დაიძრა დასავლეთის მიმართულებით, ძველი, ჩრდილოეთის გზით. და დაიწყო აბრეშუმის გზის ისტორია...

ქრისტესობიდან IV-IX საუკუნეებში აბრეშუმის გზა ყვეაოდა. მის გასწვრივ იქმნებოდა ქალაქები და ქვეყნები, სარფიანი ვაჭრობა ამდიდრებდა და კეთილდღეობაში აცხოვრებდა ყველას, ვინც ამ გზის თანაზიარი იყო. მერე კი აღმოსავლეთი დასავლეთს წაეკიდა. ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ატეხილმა ომებმა შეაფერხა და დაასუსტა ვაჭრობა, შეიქმნა რამდენიმე „სხვა გზა“ – სამხრეთის, ჩრდილო კავკასიის, თუმცა ყველაფერი აბრეშუმის გზის დაისს მოასწავებდა. იმპერიების მიერ დანაწილებული სავაჭრო გზა უსაფრთხოც აღარ იყო – ხან დასავლელები იძარცვებოდნენ აღმოსავლეთის მონაკვეთზე და ხანაც პირიქით. XV საუკუნიდან, როცა ოკეანეების შემოვლითი გზები იპოვეს თავზეხელაღებულმა კაპიტნებმა, აბრეშუმმა გემის ტრიუმფში გადაინაცვლა, „აბრეშუმის გზად“ ნოდებული სახმელეთო არტერია რამდენიმე საუკუნით საზღვაოდ იქცა.

თბილისში ისევ შემოდიოდნენ ქარავნები, მაგრამ სადღა იყო ის ძველი ხიბლი და ლაზათი.

### SILK ROAD

The Chinese emperor Udi upon receiving an account from his vizier, in which the latter described the Ferghana steppes and agile, tough and sure-footed breed of horses dwarfing their heavy and bulky Chinese counterparts, made a long-awaited decision to export silk in exchange for those magnificently beautiful creatures, wine and precious stones thus laying the groundwork for the Silk Road. The year was 121 BC when the first caravan heavily laden with bronze mirrors and brightly coloured silks set out on its journey for the west starting the ball rolling on a new trade route...



From the 4<sup>th</sup> through the 9<sup>th</sup> centuries trade was booming along the Silk Road spawning many new cities and countries. People continued to thrive on this roaring trade until the east came up against the west. Wars that broke out between Byzantium and Persia dampened down trade and the Silk Road forked into different routes: southern, north Caucasian, others... it marked the demise of the Silk Road. Such a split-up of the Silk Road between the empires increased the risk of robbery. Merchants travelling from the west were assaulted and robbed on the east section of the road and vice versa. From the 15<sup>th</sup> century, daredevil captains began to take roundabout ocean routes to reach the destination. Thus, the marine route soon took over from the overland main artery known as the Silk Road... caravans did still keep flowing in Tbilisi, but with no past grandeur or opulence.





### უკან, მომავლისკენ...

ისტორია კი მეორდება. არასწორხაზოვნად, მაგრამ ციკლურად. ეს გზა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის. არც აღმოსავლეთის კუთვნილი და არც დასავლეთში ბოლომდე მოხვედრილი ქვეყანა იყო კარიბჭე და შეხვედრის ადგილი ამ ორი სამყაროსი. ეს იყო მისი დანიშნულება და ფუნქცია. ეს იყო მისი ხასიათი და კულტურა. ეს იყო მისი არსი.

ჰოდა, 1993 წელს კვლავ შეიყარა აღმოსავლეთი და დასავლეთი, ამჯერად საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის თაოსნობითა და ინიციატივით და დიდი აბრეშუმის გზის აღდგენა გვაუწყა. პროექტს TRACECA დაარქვეს და მისი შტაბ-ბინა დღემდე ბაქოშია. გაერთიანებული ევროპის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ამ შეთანხმებას ისეთი პროექტები მოჰყვა, როგორებიც ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენი და რამდენიმე თვის წინ დამტკიცებული შახ დენიზის პროექტია.

მართალია, ამჯერად აბრეშუმის ნაცვლად საქართველოს გავლით ნავთობი მიდის აღმოსავლეთიდან ევროპის ქვეყნებში, მაგრამ დღევანდელი ნავთობი თავისი მნიშვნელობით უწინდელი აბრეშუმია. ქვეყანამ ფუნქცია აღიდგინა და კვლავ სამყაროთა დამაკავშირებელი კარიბჭე გახდა.

თუმცა, ტრანსკავკასიურ-ევროპული მაგისტრალი სხვა, მეტად საინტერესო ამბავია... ახლა კი ისევ აბრეშუმს დავუბრუნდეთ.

### გარდასახვის საიდუმლო

აბრეშუმხვევია მომინაურებული მწერია. ის თუთის ხის ფოთლებით იკვებება და გარდასახვის სრულ ციკლს გადის. აბრეშუმის პეპელა დებს განაყოფიერებულ კვერცხს, საიდანაც აბრეშუმის ჭია იჩეკება. ზრდის განმავლობაში ოთხჯერ იცვლის კანს და ზრდის დასრულებამდე წონაში 10 000-ჯერ, ხოლო ზომაში 20-ჯერ იმატებს. მას 5 ასაკი აქვს, მხოლოდ ჭიად ყოფნის პერიოდში იკვებება, შემდეგ კი გადაამუშავებული საკვებისგან თავისუფლდება და გამჭვირვალე ხდება. ეს მისი მნიშვნელობის ასაკია. ჭიის ციკლი 28 დღემდე გრძელდება. სწორედ ამ დროს იწყებს პარკის კეთებას. ეს პროცესი 4-5 დღე გრძელდება. დედალი და მამალი აბრეშუმის ჭიის



### BACK TO THE FUTURE

History repeats itself. It is cyclic rather than linear in its evolution. The Silk Road was vitally important to Georgia – a country that does not entirely lie either in the west or in the east; a country where these two worlds fuse and melt into a single whole. And it is the precise nature of this country, its essence and its mission.

In 1993 the east and the west were married again. The then President of Georgia, Mr Eduard Shevardnadze gave his blessing to this marriage by announcing the restoration of the Great Silk Road. The project was named TRACECA and is still headquartered in Baku. The agreement then reached between Europe, Central Asia and the Caucasus acted as a trigger for the Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline and the Shah Deniz Project the latter was approved only a few months ago. Today oil has become a great substitute for silk being transported via Georgia from eastern to European countries. But oil is equally as precious as silk used to be in the distant past, isn't it? Georgia regained its function of serving as an east-west interconnector. But the route connecting Transcaucasus to Europe is another story... Let us hark back to silk...





პარკები ზომით განსხვავებულია: მამლის უფრო დიდია და უხედაფიანი, დედლის – შედარებით მომცრო. აბრეშუმხვევიას სხვადასხვა ჯიშს სხვადასხვა პიგმენტური შეფერილობა აქვს. როდესაც აბრეშუმის ძაფი ილევა, ჭია იძინებს და 8-დან 12 დღის თავზე პარკიდან პეპლად გარდასახული გამოდის.

თუმცა, აბრეშუმის წარმოებაში ჭიას პეპლად ქცევასა და პარკიდან გამოსვლას არ აცდიან, რადგან გარეთ გამოსვლისას პეპელა გამოყოფს მჟავას და პარკს აზიანებს. ასე რომ არ მოხდეს, ციკლის დასასრულს პარკებს მდულარე ნყალში ათავსებენ, რაც პეპელას კლავს, პარკს არბილებს და ძაფის ამოსახვევად ვარგისიანს ხდის.

თითოეული პარკიდან 800-1000 მეტრი აბრეშუმის ძაფის ამოხვევა შესაძლებელი. ჯიშების მიხედვით ძაფი ან ბზინვარეა, ან მტკიცე, ან ელასტიური. კვეთაში ძაფს სამკუთხა ფორმა აქვს და სწორედ ეს განაპირობებს აბრეშუმის ასეთ ფაქტურას.

დანარჩენი – ქსოვილის ოსტატების საქმეა. უნინ აბრეშუმი ხელით, სპეციალურ დაზგებზე მზადდებოდა. ახლა კი, ტექნოლოგიურ ეპოქაში, მას ფაბრიკებში ქსოვენ.



### MYSTERY OF METAMORPHOSIS

The silk moth is a domesticated insect that goes through a complete life cycle and feeds voraciously on mulberry leaves. The female moth lays tiny eggs that hatch to release tiny worms. The larvae shed their skins four times and soon increase their body mass by as much as 10 thousand times and their size up to 20 thousand times. The larvae go through five growth stages. They keep eating until it is time to move on to the next stage. Then they purge their guts and release clear fluid. The larval period is about 28 days. They will then enter the pupa phase of their life cycle and enclose themselves in a cocoon. This phase lasts 4-5 days. Male cocoons are larger than female ones and produce substantially more thread. Cocoon pigmentation varies depending on the species of silkworm larvae. Once the pupa is complete it goes to sleep and after a period of 8-12 days emerges by rupturing the cocoon as an adult moth.





**აზრის მუხაზი**

XIX საუკუნეში აზრის მუხის წარმოება რუსეთის იმპერიისთვისაც მეტად მნიშვნელოვან საკითხად იქცა. ალბათ, ამის გამოძახილი იყო 1887 წელს თბილისში ნიკოლაი შავროვის მიერ კავკასიის აზრის მუხის სადგურის დაარსება, რომლის გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობა 1912 წელს აიგო.

დღეს ამ შენობაში აზრის მუხის მუზეუმი და სპეციალიზებული ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, სადაც მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური კოლექცია ინახება. აქ 5 000 ჯიშის და ჰიბრიდის პარკია დაცული და დამთვალეირებულს აზრის მუხის – ჭიის, პარკის, თუთის, სხვადასხვა ქვეყნისა და ფაქტურის აზრის მუხის ქსოვილის, მისი საღებავების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვს.



ГЛАВНОЕ ЗДАНИЕ Кавказской шелководственной станции.



დღეს მუზეუმის შენობას სერიოზული მიხედვა და რეაბილიტაცია სჭირდება. დასანანი იქნება, თუ ასეთი საოცარი კოლექცია ელემენტარული პირობების არარსებობის გამო განადგურდება... უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ სახელმწიფო დონეზე მიხედვას თავად დარგიც – მეაზრის მუხის მუხაზიც ითხოვს!

ირა ჭელიძე

In silk production, however, the pupa is not allowed to make a hole in the cocoon as the enzymes they release are destructive and seriously reduce the value of silk threads. To prevent this, the silkworm cocoons are boiled. The heat kills the silkworms and the water makes the cocoons easier to unravel.

Each cocoon yields 800-1000 metres of silk thread. Some threads are distinguished for their lustre, others for elasticity or toughness depending on the species they are obtained from. Silk threads have a roughly triangular cross section that contributes to their shiny finish and iridescent effect.

All the rest depends on the expertise of silk makers. In the past silk fabrics were woven on hand looms. Presently, they are manufactured in factories using cutting-edge technologies.

**Silk Museum**


In the 19th century silk began to gain its lead as an advanced sector of the industry in Russia. As a further manifestation of this interest Nikolay Shavrov founded the Caucasus Sericulture Station in Tbilisi in 1887, which was relocated to an architecturally unique building in 1912.

Currently, the building houses the Silk Museum and the Specialized Library, which offer one of the world's most unique collections of over 5000 silkworm species and hybrid offspring, and provide tours encompassing the life cycle of the silkworm, peculiarities of silk of different origin, unique qualities of silk fibre as well as dyeing methods.

The museum building is in dire need of rehabilitation. It will be absolutely unforgivable if, due to a lack of basic care, this extensive collection falls to ruin. But it is not only the museum that calls for refurbishment; we do acknowledge that the silk industry too needs to be taken care of (including at the state level).

By IRA CHELIDZE





## იყავით გამორჩეულები



# მაგთივინი Magtiwin

**საგამოფენო დარბაზი:**

თბილისი, პოლიტეკვსკაიას (ყოფილი ჭიჭიას) ქ. 5, ტელ.: 253 65 17

წარმომადგენლობა საშურში: ტელ.: 591 178 113

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 119/1. ტელ.: 294 00 00; ფაქსი: 295 26 68  
info@magtiwin.ge

[www.magtiwin.ge](http://www.magtiwin.ge)



სერტიფიკატი

ISO 9001:2008

საქონლის

ბარანტირებული  
ხარისხი





